

ალტე უნივერსიტეტის

პრეზიდენტის

ბრძანება N 02-009

ქ.თბილისი

16 იანვარი, 2023 წელი

ალტე უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობით სარგებლობის მსურველი სტუდენტებისთვის შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ.

„ალტე უნივერსიტეტის დებულების“ მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-7 მუხლის საფუძველზე ვბრძანებ:

1. განისაზღვროს ალტე უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის შიდა მობილობის განხორციელების ვადები, შემდეგი სახით:

1.1 2023 წლის 16 იანვრიდან 25 იანვრამდე განაცხადების რეგისტრაცია, 2023 წლის 30 იანვარი - ბრძანება შიდა მობილობასთან დაკავშირებით;

1.2 სტუდენტთა შიდა მობილობა განხორციელდეს უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტის საერთო კვოტის ფარგლებში, კონკურსის გარეშე. სტუდენტთა განცხადების მიღება განხორციელდეს სტუდენტთა ელექტრონულ პორტალში students.alte.edu.ge განცხადების თავისუფალი ბლანკის ფორმის გამოყენებით და უნივერსიტეტის ოფიციალურ მეილზე info@alte.edu.ge;

1.3 დაევალოთ სკოლის დეკანებს, მოამზადონ შესაბამისი დასკვნები სტუდენტთა შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისას პროგრამული თავსებადობის განსაზღვრისა და აღიარებული კრედიტების თაობაზე და წარადგინონ აკადემიური პროცესების მართვის სამსახურში 2023 წლის 28 იანვრამდე.

2. დაევალოს აკადემიური პროცესების მართვის სამსახურს, შიდა მობილობის შედეგები ორი კვირის ვადაში მიაწოდოს სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას“.

რამაზ კუკულაძე
პრეზიდენტი

